ართანა ლოპოტა

N162-28032022

28 მარტი 2022 წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

მოგახსენებთ, რომ შპს „ართანა ლოპოტა" თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეგმავს 5.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ლოპოტა 1 ჰესი"-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

ზემოაღნიშნულ პროექტზე კომპანიის მიერ განხორცილედა პროექტით დაგეგმილი სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის ცვლილება ადგილობრივ მოსახლეობაზე და გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით. საპროექტო სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილია მდინარე ლოპოტას მარჯვენა ჭალისზედა ტერასაზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელზეც შპს ,,ართანა ლოპოტა"-ს მიერ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან" გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება (ს.კ 53.18.31.133).

შპს „ართანა ლოპოტა"-მ მოამზადა თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. ლოპოტაზე 5.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის ლოპოტა 1 ჰესის სამშენებელო ბანაკის მოწყობა-ექსპლუატაციის ცვლილების პროექტის სკრინინგის ანგარიში და სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარუდგინა სამინისტროს 2022 წლის 16 თებერვალს (N2868).

მიმდინარე წლის 22 მარტის N 2786/01 წერილის საფუძველზე, გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, სამინისტრომ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 22 მარტის N 2786/01 წერილის მოთხოვნების შესაბამისად განახლებულ სკრინინგის ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 7273
29.03.2022
02

შპს ართანა ლოპოტა
მთავარანგელოზის ქუჩა N30
ქ. თბილისი, საქართველო

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელექტრონული ვერსია;

პატივისცემით,

შპს „ართანა ლოპოტა"-ს დირექტორი

ბიძინა იმნაძე

შპს ართანა ლოპოტა
მთავარანგელოზის ქუჩა N30
ქ. თბილისი, საქართველო